ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი: 22 ფურცელი

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ქეთევან ჯოხაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოებაში განცხადებულია
ფურცელთა რაოდენობა 23 ფურცელი
№10/17602 28.10.165?

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ქეთევან ჯოხაძის

გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

2016 წელი

2014 წლიდან გახლავართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის, მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი გლდანის ოლქში (მუხიანის დასახლება), ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"ს მდივანი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის განათლების და კულტურის კომისიის წევრი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 ოქტომბრის №341 განკარგულებით ვარ ეკონომიკური და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის წევრი.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის, პროექტებისა და ინიციირების შესახებ ზოგადი ინფორმაცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში (01.01.2016 ოქტომბრის ჩათვლით) გაიმართა საკრებულოს ბიუროს 21 სხდომა, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 25 სხდომაში. ჩემი თანამონაწილეობით *საკრებულოს მიერ მთლიანობაში მიღებულია 74 დადგენილება და 341 განკარგულება.*

აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი დედაქალაქის 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში, რომელიც შედგენილია მოსახლეობის მოთხოვნების და მნიშვნელოვანი პრიორიტეტების გათვალისწინებით, კერძოდ ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გამწვანებითი ღონისძიებები, განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა. *დედაქალაქის ბიუჯეტი განისაზღვრა 815 მლნ. 900 ათას ლარით.*

ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანია და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვეკიდებით, სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალშობილების, შშმ პირების, უსახლკაროთა და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა, ასევე დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეთა სოციალური საჭიროებებით უზრუნველყოფას, როგორც სერვისების მიწოდების ასევე სხვადასხვა დახმარების გაცემის გზით.

ამ წელს ბიუჯეტში ჯანდაცვის მიმართულებით სხვა მნიშვნელოვან პროგრამებთან ერთად გავითვალისწინეთ და მიმდინარეობს 3 ახალი პროგრამა,: ჰერცეპტინის პროგრამის დაფინანსება 3 მლნ. ლარით, რაც ადრეული ძუძუს კიბოს დადებითი(I-III) სტადიის მქონე პირებისთვის პრეპარატი ჰერცეპტინით უზრუნველყოფას გულისხმობს; 250 000 ლარით დაფინანსდა ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომსახურების მიწოდება; 500 000 ლ. გამოყოფილია ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების ხელშეწყობისთვის ორთოპედიული პათოლოგიების სკრინინგსა და აღდგენითი თერაპიისთვის. ასევე ბიუჯეტში *სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის*

გავითვალისწინეთ და ჩემს მიერ მხარი დაეჭირა შემდეგ ქვეპროგრამებს: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება; სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მე-3, მე-4, მე-5 და შემდეგი შვილის დაბადებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურება; 10-დან 16 წლამდე ბავშვების საკურორტო-გამაჯანსაღებელი საზაფხულო ბანაკები; 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება; სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში სწავლების დაფინანსება; სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსება; სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია); ყრუ ინვალიდთა თარჯიმან-დაქტილოლოგების მომსახურებით უზრუნველყოფა; სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები; ომის ვეტერანთა დახმარება; მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა; მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა; სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება; „ვოლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება; სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება; სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარება; შინმოვლის თანადაფინანსება; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

პრიორიტეტის ფარგლებში 2016 წელს გაგრძედა კომუნალური სუბსიდიების პროგრამა;

სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების მიმღები ბენეფიციარები არიან: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000-100 000-ს; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 100 000 -დან 200 001-ს; მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი პირები და მათი ოჯახის წევრები; ვეტერანი, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში; მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირი; დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების ან ქალაქ თბილისზე მზრუნველის სტატუსის მატარებელი პირი; სხვა პირები, რომლებიც საკუთარი განცხადების საფუძველზე, მატერიალური მდგომარეობის გამო საჭიროებენ დახმარებას;

თბილისში ფუნქციონირებს 240 ბენეფიციარზე გათვლილი მიუსაფართა თავშესაფარი. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა *დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესამუშავებლად*, უკვე მეორე წელია ჯგუფის „სითი ინსტიტუტი საქართველო"-ს მიერ, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, დღემდე აგრძელებს მის განახლებასთან დაკავშირებით აქტიურ მუშობას.

ვინაიდან არ არსებობდა ეფექტური განაშენიანების დოკუმენტი, ქალაქში მიმდინარეობდა და უკონტროლო მშენებლობები, რაც მუდმივად იწვევდა მოსახლეობის გულისწყრომას. უკონტროლო მშენებლობების დროებით შესაჩერებლად საკრებულომ მიიღო დადგენილება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საცხოვრებელ სახლებზე კ2 კოეფიციენტის გადამეტებასთან დაკავშირებით დროებითი შეზღუდვაზე. წარმოდგენილი ცვლილებებით,თბილისის

ცენტრალურ ნაწილში საჯარო სივრცეების შენარჩუნების მიზნით, საცხოვრებელ სახლებზე კ2 კოეფიციენტის გადამეტება აღარ მოხდება, ასევე გამწვანებულ ტერიტორიებზე შეიზღუდება განაშენიანების პროცესი.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა თბილისის ტრანსპორტის მიმართულებით, ქალაქში მოძრაობა დაიწყო ევროსტანდარტების შესაბამისმა ავტობუსმა და მოდერნიზებულია მეტროს 4 ვაგონი.
რაც შეეხება გამწვანებით ღონისძიებებს, ვერეს ხეობაში და მზიურის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს სარეკრეაციო ზონის მოწყობა. 2014-2016 წლებში დედაქალაქში დარგულია 560 000 ხე.
მხარი დავუჭირე აგრეთვე საკრებულოს დადგენილებას 2015 წლის 13-14 ივლისის სტიქიით დაზარალებულთა შესახებ: საკრებულომ, მერიასთან ერთად, 2015 წელს მიღებულ 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დაზარალებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესში შეიტანა ცვლილებები დაზარალებულთა სასარგებლოდ. თითოეულ დაზარებულ ოჯახზე დახმარება 3 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული, მაგრამ წესში ცვლილების შედეგად, თანხა გაიზარდა. ერთი და ორ სულიანი ოჯახებისთვის გაიცემა 4 ათასი ლარი, ხოლო სამი და მეტ სულიანი ოჯახებისთვის 6 ათასი ლარი.
როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი დავესწარი ამ კომისიის 10 სხდომას (14-დან) და მონაწილეობა მივიღე 31 საკითხის განხილვაში. „ქ .თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ გრიგოლ ლილუაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (N 04/669); ავადობის პრევენცია და ჯანსაღი ფიზიკური განვითარების პროგრამა ქ. თბილისის ბაგა-ბაღებში' „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/3283); „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნატო ქიტიაშვილის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს N 04/3557 25.02.2016 მერიის N 6/4381 25.02.2016; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (N04/4778;14.03.2016); „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მახათას საქალაქო სასაფლაო - 1-ისთვის პანთეონის სტატუსის მინიჭების შესახებ“ (N04/4112; 4.03.2016); ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ჩართულობა თბილისის ბაგა-ბაღების მონიტორინგის პროცესში; სსიპ ქ. თბილისის N54 საჯარო სკოლისთვის სოფიკო ჭიაურელის სახელის მინიჭების შესახებ (04/21965); სსიპ ქ. თბილისის N16 საჯარო სკოლისთვის დავით სარაჯიშვილის სახელის მინიჭების შესახებ (06/3254); „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/6855); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ (04/3827); ა(ა)იპ „ ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის“, ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის“, ა(ა)იპ „ქ.თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის“, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმის“, ა(ა)იპ „ქ.თბილისის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმის“, ა(ა)იპ „ქ.თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის

მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის სოსო წერეთლის მემორიალური ბინა-მუზეუმის" და ა(ა)იპ „ქ.თბილისის თოჯინების მუზეუმის" რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" შექმნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (04/6857; „საქართველოს დედაქალაქის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (04/10212); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2016 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა; მახათას მთის მიმდებარედ არსებული პანთეონისთვის „ახალი პანთეონის" სახელის მინიჭების საკითხის განხილვა (04/11164; 20.06.2016); ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიშის განხილვა; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/11111; 17.06.2016);„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/14139); „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილედ გიგა ნიკოლეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილედ ნატო ქიტიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსად ირაკლი ხუცურაულის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად გიორგი უკლებას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (04/14141); „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/14140);

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში 2016 წლის იანვარ-ოქტომბერში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები კვების რაციონის გაუმჯობესების, გაზრდილი ჯგუფების შემცირების, სანიტარული პირობების გაუმჯობესების, ფსიქოლოგების და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, შეგვემატა 10 ახალი ბაღი, 2017 წლისთვის იგეგმება 13 ახალი ბაღა-ბაღის მშენებლობა.

საკრებულოში ვხელმძღვანელობ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.

წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში, კომისიის საქმიანობას, მის მიერ განხილულ პროექტებზე, განცხადებებს/წერილებზე მოხდენილი რეაგირების შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ჩაატარა 13 სხდომა (11.01.2016, 05.02.2016, 26.02.2016, 11.03.2016, 17.03.2016, 15.04.2016, 23.05.2016, 02.062016, 24.06.2016, 28.07.2016, 02.082016, 20.09.2016), რომლებზეც განხილულია 18 საკითხი. საკრებულოს სხდომის პროექტებზე მომზადდა კომისიის 10 დასკვნა.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომებზე განხილული საკითხები:
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2016 წლის სამუშაო გეგმის მოსმენა; ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერიის მ.კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრისა" და ა(ა)იპ „მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის" რეორგანიზაციისა და ა(ა)იპ „კალათბურთის განვითარების სპორტული ცენტრის" შექმნის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №73 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება (N04/1474, 28.01.2106); ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერიის მ.კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრისა" და ა(ა)იპ „მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის" ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემა (N04/1474, 28.01.2106);ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანა; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-130 დადგენილებაში ცვლილების შეტანა (04/3925 01.მარტი 2016წ); ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ„თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრისა" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის" რეორგანიზაცია (შერწყმის (გაერთიანების)) (04/4803 14 მარტი 2016წ); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა(04/7185); ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (04/3827); ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის (საანგარიშო პერიოდი-I კვარტალი) ანგარიში; „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცება" (N 04/9479, 23.05.2016); „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის შესაბამისად-ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანა (N 04/11111, 17.06.2016); ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში(საანგარიშო პერიოდი-01.01.2016წ.-01.07.2016წ.); ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანა(N 04/14199, 29.07.2016); ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, შაორის ტერიტორიაზე პროგრამა ,,მომავლის ბანაკის" ფარგლებში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივის განხილვა - დედაქალაქის საპატიო მოქალაქედ, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ალექსანდრე მეტრეველის კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით; ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის შესაბამისად-ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ახლად დანიშნული ხელმძღვანელის პრეზენტაცია სასახლის სამომავლო სამუშაო გეგმებზე.

კომისიამ მხარი დაუჭირა საქალაქო სამსახურის წინადადებას და სრულად გაიზიარა სამსახურის მიერ წარმოდგენილი ა(ა)იპ „ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრისა" და ა(ა)იპ „თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრი" შერწყმის თაობაზე წარმოდგენილ არგუმენტაცია, რომ გაერთიანების შემთხვევაში გაიზრდება სამსახურის ეფექტიანობისა და კორდინაციის მაჩვენებელი მენეჯმენტის კუთხით, შესაბამისად ა(ა)იპ-ი იქნება საქალაქო სამსახურის პრიორიტეტებზე დაყრდნობით დაგეგმილი პროექტების/ღონისძიებების განმახორციელებელი და ბიუჯეტის დაზოგვა.

კომისიამ განიხილა „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდების დაფინანსება" ქვეპროგრამის კომპონენტის „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი". ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოზარდების ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსებას, თითო სახეობის არჩევის უფლებით. ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები. დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა თვეში შეადგენს: ფეხბურთი - 50 ლარი; ტანვარჯიში - 35 ლარი; ცურვა - 70 ლარის და სხვა სახეობები - 30 ლარი.მომსახურების მიღება ხორციელდება სპორტული სკოლისთვის განცხადებით მიმართვის საფუძველზე. საცურაო აუზების შემთხვევაში, საცურაო აუზის ადმინისტრაციისადმი მიმართვით ან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდიდან, ქვეპროგრამაში რეგისტრაციისათვის შექმნილი სპეციალური სისტემის საშუალებით, რომელშიც ბენეფიციარი ქმნის საკუთარ გვერდს. აღნიშნულ გვერდზე ბენეფიციარს აქვს საშუალება იხილოს ინფორმაცია მიმდინარე ეტაპზე პროგრამაში ჩართული ყველა საცურაო აუზის შესახებ და ირჩევს სასურველ აუზს. *ამ პროგრამით 2016 წელს საცურაო აუზებზე სარგებლობს 700 ბავშვი, ტანვარჯიშზე-110, ფეხბურთზე-50, 600 ბავშვი სპორტის სხვა სახეობებზე.*

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თანახმად მერიაში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 2015 წელს შექმნილია კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს დამტკიცებული დებულების შესაბამისად და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების/თანადაფინანსების შესახებ პროექტებზე თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 10 000 (ათი ათასი) ლარს. კომისიას ხელმძღვანელობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე და კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები. ისინი აქტიურად არიან ჩართული პროექტების განხილვაში, შეფასებაში და ერთობლივი მსჯელობით იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რამდენად მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება. ამ კომისიისთვის, ჩემი მონაწილეობით, მიღებულია საკრებულოს დადგენილება, რომელიც ეხება თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ,,სპორტული ღონისძიებები" (კოდი 8.6.1) და ,,ახალგაზრდული ღონისძიებების" პროგრამის (კოდი 8.8) ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსების განხორციელების წესს.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ კომისიაში ჩემს მიერ განხილული და მხარდაჭერილი პროექტებს:

2016 წლის პირველ და მეორე კვარტალში შედგა კომისიის 19 სხდომა, რომელმაც განიხილა საქალაქო სამსახურში შემოსული 291-ი პროექტი. ისინი პროგრამულ განყოფილებებზე შემდეგნაირად გადანაწილდა.

განათლების პროგრამების განყოფილებაში ორ კვარტალში სულ განსახილველად შემოვიდა 110 პროექტი, მოთხოვნილი თანხის ჯამმა შეადგინა: 494 645.27 (ოთხას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ექვსას ორმოცდახუთი) ლარი, აქედან დადებითად გადაწყდა 38 პროექტი, რომელთა ჯამურმა თანხამ შეადგინა: 113 077.86 (ას ცამეტი ათას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაექვსი თეთრი) ლარი. დაფინანსებაზე უარი ეთქვა 63 პროექტს, ხოლო 6 საკითხს რეკომენდაცია გაეწია დაკორექტირებაზე.

კომისიის რეკომენდაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობაზე წარდგენილ იქნა 3 პროექტი, რომელთა განხორციელების მიზნით ჯამში გამოიყო 61,628.35 (სამოცდაერთი ათას ექვსას ოცდარვა ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი.

განხილული პროექტები -2016 წლის 4 მაისის განკარგულება N17.05.400 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამოქალაქო ინიციატივა-საზოგადოების ჯანმრთელობისთვის" დაფინანსების თაობაზე; 2016 წლის 29 ივნისის განკარგულება N25.16.551 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტ-კლუბი „რა? სად? როდის?" დაფინანსების თაობაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს უსინათლოთა კავშირის " დაფინანსების თაობაზე - აღნიშნული საკითხი არ იქნა მოწონებული მთავრობის მიერ და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მისი სარეზერვო ფონდიდან დაფინანსების შესახებ.

სპორტის პროგრამების განყოფილებაში განსახილველად შემოვიდა 164 პროექტი, მოთხოვნილმა თანხამ ჯამში შეადგინა: 1 362 246,03 (მილიონ სამას სამოცდაორი ათას ორას ორმოცდახუთი და სამი) ლარი.

აქედან 118 საკითხი დადებითად გადაწყდა, გადარიცხული თანხის რაოდენობამ ჯამში შეადგინა 620 852,92 (ექვსას ოცი ათას რვაას ორმოცდათორმეტი და ოთხმოცდათორმეტი) ლარი, 28 პროექტს უარი ეთქვა დაფინანსებაზე. 14 პროექტს გაეწია შუამდგომლობა მთავრობასთან:

მოთხოვნილმა თანხამ ჯამში შეადგინა: 436 675.30 (ოთხას ოცდათექვსმეტი ათას ექვსას სამოცდათხუთმეტი და ოცდაათი) ლარი. ხოლო გადარიცხული თანხის რაოდენობამ: 406 675. 30 (ოთხას ექვსი ათას ექვსას სამოცდათხუთმეტი და ოცდაათი) ლარი.

პროექტები -2016 წლის 10 თებერვლის N06.03.115 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში ა(ა)იპ „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის" დაფინანსების თაობაზე; 2016 წლის 23 მარტის N 11.21.260 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში ა(ა)იპ „საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის" დაფინანსების თაობაზე; 2016 წლის 30 მარტის N12.07.271 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში ა(ა)იპ „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის" დაფინანსების თაობაზე; 2016 წ. 13 აპრილის განკარგულება N14.13.327 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში ა(ა)იპ „ქ.თბილისის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია 2012-ის" დაფინანსების თაობაზე; 2016 წლის 4 მაისის განკარგულება N17.04.399 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასთვის" დაფინანსების თაობაზე; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში, ა(ა)იპ სხმ აკადემიის დაფინანსების თაობაზე; 2016 წლის 18 მაისის განკარგულება N19.10.429 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქ.თბილისის ფეხბურთის ფედერაციის" დაფინანსების თაობაზე; 2016 წლის 18 მაისის განკარგულება N19.09.428 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ფუტსალის ასოციაციის" დაფინანსების თაობაზე; 2016წ. 25 მაისის განკარგულება N20.07.443 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში ა(ა)იპ „საქართველოს პანკრატიონის, გრეპლინგისა და ბელტ რესლინგის ეროვნული ფედერაციის" დაფინანსების თაობაზე; 2016წ. 24 მაისის განკარგულება N20.08.444 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში ა(ა)იპ „ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის" დაფინანსების თაობაზე; 2016წ. 1 ივნისის განკარგულება N21.08.465 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბოდიბილდინგის, ფიტნესისა და ბოდიფიტნესის ფედერაციის დაფინანსების შესახებ; 2016წ. 8 ივნისის განკარგულება N22.17.489 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში ა(ა)იპ -კავშირი „ზუკას თასის" დაფინანსების თაობაზე; 2016 წ. 22 ივნისის განკარგულება N24.09.510 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში ა(ა)იპ „თბილისის ავტოკლუბის" დაფინანსების თაობაზე; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის კრივის ფედერაციის დაფინანსების

თაობაზე იურიდიულ საქალაქო სამსახურთან კონსულტაციის შედეგად, აღნიშნული საკითხი დაფინანსდა კომისიის გადაწყვეტილებით.

ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამების განყოფილებაში, ორი კვარტლის განმავლობაში განსახილველად შემოვიდა 17 პროექტი. მოთხოვნილმა თანხის ჯამმა შეადგინა: 255 840 (ორას ორმოცდათხუთმეტი ათას რვაას ორმოცი) ლარი.

დადებითად გადაწყდა 4 პროექტი, რომელთა თანხამ ჯამში შეადგინა 19 512, 50 (ცხრამეტი ათას ხუთას თორმეტი და ორმოცდაათი) ლარი.

უარი ეთქვა დაფინანსებაზე 9 პროექტს.

პროექტს გაეწია რეკომენდაცია მთავრობასთან, რომელთა მოთხოვნილი თანხის ჯამმა შეადგინა 94 040, 90 (ოთხმოცდათოთხმეტი ათას ორმოცი და ოთხმოცდაათი) ლარი.: 2016 წლის 13 აპრილის განკარგულება N14.15.329, ა(ა)იპ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის" პროექტის „მხიარულთა და საზრიანთა თბილისის 2016 წლის ღია ჩემპიონატი"-ს დაფინანსების თაობაზე; 2016 წლის 25 მაისის განკარგულება N20.06.442, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში ა(ა)იპ „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის" დაფინანსების თაობაზე; 2016 წლის 22 ივნისის განკარგულება N24.10.511 ა(ა)იპ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის" პროექტის - „ საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა მხიარულთა და საზრიანთა გუნდების საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე" დაფინანსების თაობაზე;

წლის დასაწყისში განვიხილეთ 2016 წელს ჩასატარებელი მასშტაბური ღონისძიებები, ამასთან დაკავშირებით მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან ირაკლი გვილავასთან ერთად სამუშაო შეხვედრა გავმართეთ და სამომავლო გეგმები დავსახეთ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის და საქართველოს წყალბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან. 1 აპრილს შევხვდი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში ატილა ადამსი (გენერალური დირექტორი), ენიკო ნემეფ-მორა (საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი) და მატიას ლენკსერი (შეჯიბრებების მენეჯერი) შედიოდნენ.

მიმდინარე წელს ხელი შეეწყო შემდეგი მასშტაბური ღონისძიებები განხორციელებას: მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში-25ივნისი-2ივლისი. ჩემპიონატს მასპინძლობდა ახალ თბილისში მდებარე ტანვარჯიშის არენა. საქართველოსთან ერთად აღნიშნულ ტურნირში 47 ქვეყნის 300-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველო 12 სპორტსმენით (8 ვაჟი, 4 გოგონა) იყო წარმოდგენილი, რომლებმაც 3 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. აქედან 2 ორჭიდის ჯამში (1 ოქრო, 1 ვერცხლი) დანარჩენი კი - ატაცსა (2 ოქრო) და აკვრაში (1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო); მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის-13-18 სექტემბერი. შედეგი-3 ოქრო 2 ბრინჯაო; მერიის თასი კალათბურთში-აგვისტოს ბოლო კვირა. გავედით მეორე ადგილზე; ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მძლეოსნობაში-14/17ივლისი; მერიის თასი ჩოგბურთში-სექტემბერი; გრან-პრი ძიუდოში - მარტი. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მორიგი უხვმედლიანი ტურნირი მოილია. ირაკლი უზნაძის გაწვრთნილმა გუნდმა, ორი ლიდერის გარეშე, 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოიპოვა; მსოფლიო თასი ხელბურთში-

8/13მარტი; ევროპის ფინალური ეტაპი 18 წლამდე ბიჭებში-13/22აგვისტო; კახი კახიაშვილის სახელობის ტურნირი (ძალოსნობა)-24/25დეკემბერი; აღნიშნული ღონისძიებებიდან დარჩენილია კახი კახიაშვილის სახელობის ტურნირი ძალოსნობაში, რომელიც დეკემბერში ჩატარდება და მერიის თასი ჩოგბურთში.

კომისია აქტიურად იყო ჩართული რიოს ოლიმპიადისთვის მზადებაში და მხარს უჭერდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებებს ამ საკითხში. სამინისტროსთან ერთად მონაწილეობა მივიღე ოლიმპიადაზე სპორტსმენთა გაცილებაში.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით N748, რომელიც ეხებოდა საქართველოში ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას, ჭადრაკის განვითრებისთვის 2015-2018წწ. გამოყოფილია 33 178 649 ლარი. ამ თანხიდან 2015 წ. თებერვალში ვაჟთა შორის მსოფლიო გრან-პრის გათამაშება დაფინანსდა 105 000 (ას ხუთი ათასი) ლარით. 2016 წელს ამ პროგრამიდან დაიხარჯა 100 000 ლარი, რაც გათვალისწინებული იყო ნონა გაფრინდაშვილის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქალთა მსოფლიო გრან პრის გათამაშებისთვის, რომელიც 19 აპრილიდან ბათუმში გაიმართა და მასში 4 ქართველი მოჭადრაკე ასპარეზობდა ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი და ლელა ჯავახიშვილი.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის და პარლამენტში რატიფიცირების შემდეგ დღის წესრიგში დადგა სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სპორტში, ამ შეთანხმების მოთხოვნათა პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხი. ამ კუთხით კომისიის მიერ ხელი შეეწყო სპორტულ/ახალაგაზრდულ ა(ა)იპე-ბის შექმნას. დღეისთვის არსებობს 9 სპორტული ა(ა)იპი: ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი „იმედი", „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი", „მ.ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის მზადების სპორტული ცენტრი", „ვ.კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი", „გლდანი - ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი", „ჩოგბურთის განვითარება", „თბილისის პარასპორტის განვითრების ცენტრი", „წყალბურთელთა გუნდი თბილისი", „ სპორტული ცენტრი ლილო". სპორტულ ცენტრებში ფუნქციონირებს 20-მდე სპორტული სექცია, რომელშიც 10 000-მდე ბენეფიციარია ჩართული.

2016 წლის ბიუჯეტით სპორტული ღონისძიებები, კოდი 8.6, დაფინანსებულია 12 444,0 ათასი ლარით, რომელშიც გათვალისწინებულია სპორტის ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობათა ფედერაციების, სპორტული ღონისძიებების, მწვრთნელების მხარდასაჭერი პროგრამის, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების და პარასპორტის განვითარების, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის, რეაბილიტაციისა და მშენებლობის დაფინანსება.

2016 წელს დაიწყო ა(ა)იპ-ი გლდანი-ნაძალადევის სპორტული ცენტრის, ნაძალადევის კომპლექსის, საცურაო აუზის და სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, რომელიც დასრულდება 2017წ. ამავე ცენტრს უზუფრუქტის ფორმით გადაეცა მიწა მუხიანში, სადაც დაწყებულია 3 სარაგბო სტადიონის მშენებლობა.

წელს სოფ. გლდანში გაიხსნა კულა გლდანელის სახელობის ქართული ჭიდაობის სპორტული ცენტრი, რომელიც გათვლილია 500 ბენეფიციარზე. ცენტრში იფუნქციონირებს ჭიდაობის, კარატეს და სამბოს წრეები.

13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მერიის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის, სანაპიროს N7-ში მდებარე კომპლექსი, რეაბილიტაცია განახორციელა „ვითიბი ბანკი ჯორჯია"-მ. სპორტული ბაზა გაიხსნა II კვარტალში.

მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად ქ. თბილისის 10 რაიონის 24 სკვერში დამონტაჟდა გარე–გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობები. რითიც მათ საშუალება მიეცათ დაკავდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესით, უსასყიდლოდ, დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ეს საკითხი გათვალისწინებული იქნება მომავალ ბიუჯეტშიც.

2016 წლის, აპრილის თვეში, ქ. თბილისის მერიის დაფინანსებით სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეს.

ჩატარდა საუბნო ჩემპიონატები ფრენბურთში, მინიფეხბურთსა და კალათბურთში, სადაც ათივე რაიონის მაცხოვრებლებმა მიიღეს მონაწილეობა.

საქართველოს დემოკრატიული და სტაბილური განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომავალი თაობა. ხელი შეეწყო ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებას, საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას. 2016 წელს ბიუჯეტში ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის, კოდი 8.8, გამოყოფილი იყო 1 876,0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ახალგაზრდული ცენტრებისა და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას.

კომისიას, საანგარიშო პერიოდში, ჰყავდა სამი სტაჟიორი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ შემოსული წერილების განხილვასა და კომისიის სხდომების მომზადებაში. ესწრებოდნენ კომისიისა და საკრებულოს სხდომებს.

საკრებულოში კომისიის თავმჯდომარესთან მოქალაქეების მიღება დაგეგმილია ყოველდღე, ოთხშაბათის გარდა. საკრებულოში 2016 წელს 103 მოქალაქესთან შედგა შეხვედრა, რომლებსაც გაეწიათ შესაბამისი დახმარება/კონსულტაცია.

კომისიაში შემოსულია 334 კორესპონდენცია, მათ შორის 210 საკრებულოს სხდომის მასალა და 124 განცხადება/წერილი. კომისიის მიერ მომზადდა 217 წერილი და განხილულია 210 პროექტი.

ჩემი ინიციატივითა და საკრებულოს მხარდაჭერით გაიმართა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

13 მაისს ჩემი ინიციატივით და პარტნიორი ორგანიზაციების, თბილისის მერიისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით თბილისის „დინამოს" თასების მფლობელთა თასის გამარჯვების 35 წლის საიუბილეო ღონისძიებები გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში თბილისი არენაზე 1981 წლის თბილისის „დინამოს" ნაკრების წევრებისთვის მემორიალური დაფა გაიხსნა, რის შემდეგაც ვეტერანი ფეხბურთელები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო. გარდა ამისა, თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში თბილისის „დინამოს" 1981 წლის ფეხბურთელთა და ფეხბურთის გულშემატკივართა მიღება გაიმართა. მიღებაზე ფოტოგამოფენა და საიუბილეო წიგნის პრეზენტაცია მოეწყო. ორგანიზატორებმა ვეტერან ფეხბურთელებს სამახსოვრო საჩუქრები და სიგელები გადასცეს. საღამოს სპორტსმენებსა და ფეხბურთის გულშემატკივრებთან ერთად თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი

ალიბეგაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს წევრები, თბილისის მერი და დავით ნარმანია, ვიცე-მერი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს"ასევე საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები დაესწრნენ.

4 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მსოფლიოში გამოჩენილი ბოდიბილდინგერებს: პაკო ბაუტისტას, კარლოს სანჩესს, ვიქტორ რეინალდოს, ალექს სანჩესს და ალექს ბარდაძეს ვუმასპინძლე. ვისაუბრეთ სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე.

16 ივნისს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის დარბაზში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის მიღება გაიმართა.

17 ივლისს დედაქალაქის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მალაღურაძესთან, საკრებულოს წევრებთან ირაკლი აბუსერიძესთან და მანუჩარ მაჩაიძესთან ერთად მძლეოსნობაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის სხვადასხვა სახეობებში გამარჯვებული სპორტსმენები დავაჯილდოვეთ.

27 სექტემბერს ჩემი ინიციატივით თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან ერთად „თბილისის ლიგა 2016"- ის გამარჯვებულ საფეხბურთო გუნდს „ვაზისუბანი" საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის დარბაზში ვუმასპინძლეთ და მათ მადლობის სიგელები გადავეცით.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები"-ს წევრი, დავესწარი ფრაქციის 9 სხდომას, რომელზეც განვიხილეთ 15 საკითხი.

გახლავართ საქართველოს კონსერვატიული პარტიის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში შეხვედრები ტარდება ყოველი კვირის ოთხშაბათს, მიმდინარე წლის განმავლობაში გაიმართა 25 მიღება (24.02.2016, 10.03.2016, 23.03.2016, 30.03.2016, 06.04.2016, 13.04.2016, 11.05.2016, 19.05.2016, 25.05.2016, 09.06.2016, 22.06.2016, 29.06.2016, 06.07.2016, 13.07.2016, 02.07.2016, 04.08.2016, 10.08.2016, 17.08.2016, 07.09.2016, 14.09.2016, 21.09.2016, 28.09.2016, 05.10.2016, 12.10.2016) და 771 (შვიდას სამოცდათერთმეტ) მოქალაქესთან შედგა შეხვედრა. მიღების ფარგლებში, მოსახლეობას პირადად ვუსმენ და ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვუწევ შესაბამის დახმარებას. მოქალაქეთა თხოვნები ძირითადად, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, დასაქმების, ინფრასტრუქტურული მოწყობის და სამართლებრივ საკითხებს ეხება.

ჩემი ბიურო მუშაობს ყოველდღე 10:00 - 18:00-მდე და ყველა მოქალაქეს უწევს სხვადასხვა სახის კონსულტაციას, დახმარება ან/და შუამდგომლობას. ბიურო შეისწავლის ჩემს სახელზე შემოსულ წერილებში, საჩივრებში და განცხადებებში, დასმულ პრობლემატურ საკითხებს და ჩემი გადაწყვეტილების მიხედვით რეაგირებას ახდენს მათზე.

ჩემი საქმიანობის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, რათა მქონდეს ინფორმაცია ჩემს სამაჟორიტარო ოლქში ჩატარებული სამუშაოების შესახებ, გლდანის რაიონის გამგეობასთან ერთად განვახორციელე, დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი. მონიტორინგის პროცესში მუხიანის მოსახლეობას გავაცანით სამომავლოდ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებიც და მოვისმინეთ მათი მოთხოვნა-საჭიროებები.
წარმოგიდგენთ, ჩემი თანამონაწილეობით და გლდანის რაიონის გამგეობის მიერ მუხიანის ტერიტორიაზე განხორციელებულ და მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილ სამუშაოების შესახებ ინფორმაციას;

განხორციელებული კეთილმოწყობის ღონისძიებები:

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუხიანის ტერიტორიაზე არსებულ ხუთ სპორტულ მოედანს, მუხიანის II მ/რ კორპ N11-12, მუხიანის IVბ მ/რ კორპუსის N39-ის, მუხიანის 4ა მ/რ კორპ №3.4.6-ის, მუხიანის 3 მ/რ კორპ№1-2-ის და მუხიანი მე-2 მ/რ კორპ. N3-4 მიმდებარედ. შეიცვალა ძველი მავთულბადეები, დაისხა რკინა-ბეტონის ზედაპირი, დაიგო ხელოვნური მწვანე საფარი, დამონტაჟდა კალათბურთის ფარი და ფეხბურთის კარი, სულ განხორციელდა 189576.51 ლარის სამუშაოები.
ლაგურაშვილის ქუჩაზე, მუხიანის 4ა მ/რ კორპ N18-19 და მუხიანის 4ბ მ/რ კორპ N22–23-ში მოეწყო სკვერები, სულ განხორციელდა 75 338.81 ლარის სამუშაოები.
მუხიანში, სკვერების კეთილმოწყობისთვის შეძენილია და დამონტაჟებულია 50 (ორმოცდაათი) საპარკე სკამი.

კორპუსის ავარიული ელემენტების აღდგენა შეკეთება:

მუხიანი 2-ის- ნეკრესის ქ. №29-ში და მუხიანი 2-ის- იაკობის ქ. №51 ჩატარდა საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულებამ შეადგინა 15640.93 ლარი.
მუხიანის მე-3 მ/რ კორპ. №20 და მუხიანის IVა მ/რ კორპ. №15 მე-2 სადარბაზო, დაზიანებული სახურავის ფილის შეკეთებისთვის 2144.74 ლარის სამუშაოები ჩატარდა.
მუხიანის დასახლებაში, მე-4ა მ/რ რამოდენიმე მისამართზე, მოთხოვნის შესაბამისად რეაბილიტაცია ჩაუტარდა და მოეწყო სადარბაზოს მიმდებარედ საერთო სარგებლობის კიბეებს და ბაქნებს, საერთო ჯამში განხორციელდა 28308.96 ლარის სამუშაოები.
ასევე მუხიანის მე-3 მ/რ კორპ. N20-ში მოხდა დაზიანებული სახურავის ფილის აღდგენის სამუშაოები, ფორსმაჟორული სიტუაციის გამო, რომლის ღირებულებაა 4791.16 ლარი.
რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუხიანის 1-ლი „ა", მე-2-ე, მე-3-ე, მე-4-ე, მე-4ა-ე და მე-4ბ-ე მ/რაიონების შიდაკვარტალურ გზებს, სულ ჩატარდა 819661.53 ლარის სამუშაობი, ასევე განხორციელდა გზის ორმოული და ფრაგმენტების შეკეთების სამუშაოები სულ 173051.85 ლარის.
ჯამში მუხიანის ტერიტორიაზე გზის ორმოული და ფრაგმენტული შეკეთება მოხდა 5197,80 კვ/მ მიწის ფართობზე და შიდაკვარტალური გზები დაიგო 16941.39 კვ/მ მიწის ფართობზე.

ასევე მინდა მოგახსენოთ მუხიანის დასახლებაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ: მუხიანის მ/რაინების ტერიტორიაზე იგეგმება 9 (ცხრა) ფანჩატურის (პავილიონის) მოწყობა, მუხიანის 4ა მ/რ კორპ№8-დან №18-მდე საერთო სარგებლობის კიბის

მონაცემა, მუხიანის 45, მრ კორპ. №12-13-ის მიმდებარედ (30X13,8 ფართის) და მუხიანის მე-2 მრ მე-8 კორპუსთან ხელოვნური ბოლოების რეაბილიტაცია; მოსახლეობის თხოვნით მუხიანის მე-46 მრ 3, №41-42 (ნინეშვილის ქუჩაზე) იგეგმება გარე-გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების დამონტაჟება, რაც მოსახლეობას საშუალებას მისცემს დაკავდეს ჯანსაღი ცხოვრების წესით უსასყიდლოდ, დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის სულ დაგეგმილია -351807.43 ლარის სამუშაოები

გზის ორმოული და ფრაგმენტების შეკეთების 992713,38 ლარის სამუშაოები მათ შორის მუხიანი 2-ის, ვარდისუბნის ქუჩის ბეტონის გზა.

მოგეხსენებათ, რომ მუხიანის დასახლებაში არსებული რიგი პრობლემური საკითხების მიღმა პრიორიტეტული გახლავთ მუხიანის სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე არსებული მძიმე მდგომარეობა, აღნიშნულ ტერიტორიაზე სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს, ჩემი ინიციატივით, გლდანის გამგებელთან ერთად წლების მანძილზე მოუგვარებელი პრობლემის აღმოსაფხვრელად მოლაპარაკება ვაწარმოეთ კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" -ის წარმომადგენლებთან. მოლაპარაკების შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ობიექტისთვის შეიქმნება საპროექტო გეგმა, რის შემდეგაც დაიგეგმება შემდგომი მოქმედებები.

ასევე მოგეხსენებათ, რომ მუხიანი 2-ის დასახლებაში არ არსებობდა საგზაო ინფრასტრუქტურა რაც მრავალ პრობლემას უქმნიდა მოსახლეობას, დასახლებაში დაგეგმილია 25 000 კვ.მ ფართობზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება და 4 კმ-მდე სიგრძის სანიაღვრე ქსელის მოწყობა. საწყის ეტაპზე დასახლებაში ქუჩების პროექტირება მოხდება, რის შემდეგაც, მომავალი წლიდან უკვე ძირითადი სამუშაოები დაიწყება. სამუშაოების ღირებულება, დაახლოებით, 2 000, 000 ლარი იქნება.

დღეის მდგომარეობით , როგორც ზემოთ აღვნიშნე მუხიანის 2-ის დასახლების ვარდისუბნის ასფალტ/ბეტონის საფარის დასაგებად გამოცხადებულია ტენდერი.

ჩემი საქმიანობის პრიორიტეტს წამოადგენს თბილისის მასშტაბით სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს ხელშეწყობა, რასაც ვახორციელებ სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების შემუშავებით და სხვადასხვა აქტივობებით.

საამაყო და მნიშვნელოვანია, რომ მუხიანის დასახლებაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რაგბის სავარჯიშო კომპლექსის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, რომლის თანამონაწილეც და ინიციატივის ავტორიც გახლავართ, სარაგბო კომპლექსი 4 ჰექტარ ტერიტორიაზე აშენდება. კომპლექსში ოთხი მოედანი განლაგდება:ერთი ბუნებრივსაფარიანი, ორი ხელოვნური და ერთიც ქვიშის. მოეწყობა სავარჯიშო დარბაზი, რომელიც სპორტული ინვენტარით, საშხაპეებითა და გასახდელით აღიჭურვება. პროექტი 1000 გულშემატკივარზე გათვლილ ტრიბუნას ითვალისწინებს. რაგბის სავარჯიშო სამშენებლო სამუშაოები 2017 წლის თებერვალში დასრულდება. მშენებლობისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან სულ 6.302.500 ლარი დაიხარჯება. აღსანიშნავია, რომ მომავალ წელს საქართველო 20 წლამდე მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომლის ფარგლებშიც რაგბის ახალ სტადიონზე შეხვედრები გაიმართება.

ასევე სასიხარულოა, რომ მუხიანში 175-ე საჯარო სკოლასთან, ძიუდოს განვითარების ფონდის მიერ რეაბილიტირებული ახალი დარბაზი გაიხსნა. ფართი, საქართველოს ძიუდოს ფედერაციას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და თბილისის მერიასთან ზაფხულში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გადაეცა, რის შემდეგაც ფედერაციის სპონსორების - ფინანსური

მხარდაჭერით დაიწყო ტერიტორიის გაწმენდითი და სამშენებლო სამუშაოები. დღეისათვის, რეაბილიტირებულ დარბაზში უკვე 50-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს.

2017 წელს მუხიანის საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ, ა. გოზრონიძის ქუჩა აშენდება ახალი საბავშო ბაღი.

საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია მოქალაქეთა 80 (ოთხმოცი) განცხადება, რომლებიც რეაგირებისთვის გადაგზავნილია შესაბამის უწყებებში, დღეის მდგომარეობით მოქალაქეების თხოვნების უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილებულია: ოპერაციის დაფინასებასთან დაკავშირებით შემოსულია 40 (ორმოცი) განცხადება, აქედან უმრავლესობა სრულად, ნაწილი მოთხოვნილი თანხის 70%-ით დაფინანსდა. მედიკამენტები გადაეცა 10 (ათ)-ოჯახს, რომლის დაფინანსება ჩემი შუამდგომლობით უზრუნველყო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა და გლდანის რაიონის გამგეობამ. ასევე, მკურნალობისა და გამოკვლევების ხარჯები დაუფინანსდა 15 ადამიანს. გაიცა სხვადასხვა სახის რეკომენდაციები, კერძოდ, 8 ადამიანს დასაქმების თაობაზე გაეწია შუამდგომლობა. შემოსული წერილობითი და ზეპირი განცხადებების საფუძველზე, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებს, შეჩერებული სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით გავუწიე შუამდგომლობა შესაბამის უწყებასთან. ჩემი შუამდგომლობით სოციალურად დაუცველ ოჯახს ხანძრისგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გაეწია დახმარება. ერთჯერადი მატერიალური დახმარებისა და ბინის ქირით უზრუნველყოფაზე, შუამდგომლობის თხოვნით არაერთმა სოციალურად დაუცველმა პირმა მოგვმართა განცხადებით, რომლებიც შემდგომი რეაგირებისთვის და შესაბამისი დახმარების აღმოჩენისთვის გადაიგზავნა თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობაში.

მოგეხსენებთ, რომ მუხიანის დასახლებაში IV-ა მ/რ-ის მე-10-ე კორპუსში ოჯახები უკვე წლებია ცხოვრობენ და ფლობენ საცხოვრებელ ფართებს, ჩემს მიერ, მომართვის საფუძველზე, მათ გაეწია შუამდგომლობა ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსთან დაკავებული საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ვინაიდან არსებული ფაქტორივი და სამართლებრივი მდგომარეობა, წარმოადგენს უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის საფუძველს. საკითხი განხილვის პროცესშია და ველოდებით დადებითი გადაწყვეტილების მიღებას შესაბამის სამსახურების მხრიდან.

მუხიანში ყოფილი სახლმმართველობის შენობაში 2008 წლიდან, რამოდენიმე იძულებით გადაადგილებული ოჯახი, უმძიმეს სოციალურ პირობებში ცხოვრობდნენ, ბუნებრივი აირის და ელექტროენერგის გარეშე. ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე პირველ რიგში, შესაძლებელი გახდა აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ მოქალაქეთა დროებითი დამისამართება, ასევე ჩემი ძალისხმევით მოხერხდა მათთვის არსებული ელექტროენერგიის დავალიანების ჩამოწერა, რის შედეგადაც ოჯახებს აღუდგათ ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის მიწოდება. აღნიშნული შენობა სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს სასწრაფო გადახურვას.

ასევე ჩემი შუამდგომლობით სამართლებრივი დახმარება გაეწია მრავალ მოქალაქეს, კერძოდ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურთან ერთობლივი ძალისხმევით, განხილვის პროცესშია უკანონო მიშენებისა და დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი დავის გადაწყვეტის საკითხი. მუხიანის I მ/რაიონის მე-13 კორპუსის მაცხოვრებლებს შუამდგომლობა გაეწიათ მერიის კეთილმოწყობის სამსახურთან, კორპუსზე არსებული დეფორმირებული მიშენების კონსტრუქციის თაობაზე, ჩატარდა ექსპერტიზა და დადგინდა აღნიშნული მიშენებების დაზიანების ხარისხი, რომელიც საფრთხეს არ უქმნის მოსახლეობას.

ჩემი მთავარი პრიორიტეტია, მრავალშვილიანი ოჯახების, სოციალურად დაუცველი, შშმ პირების მხარდაჭერა და მათი თანადგომა, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მზრუნველობა. ჩემი მხრიდან, შესაძლებლობების ფარგლებში არაერთი დახმარება გაეწია მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს ტანსაცმლითა და პირველადი მოხმარების ნივთებით.

საანგარიშო პერიოდში ჩემი ინიციატივით ჩატარდა სხვადასხვა სოციალურ, საქველმოქმედო, შემოქმედებითი და სხვა სახის ღონისძიებები. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ ნინო გოგუაძესთან ერთად საკუთარ სამაჟორიტარო ოლქებში მცხოვრებ ქალბატონებს დედის დღე მივულოცე (04.03.2016). ქალთა კვირეულის ფარგლებში, თბილისის პრობაციის ბიუროს უფროსის მოადგილე ხათუნა წიწავასთან ერთად, პირობით მსჯავრდებულ, მრავაშვილიან დედას გაზაფხულის დღესასწაულები მივულოცე (09.03.2016). მუხიანში არსებული ოთხივე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს მივულოცეთ ბავშვთა საერთაშორისო დღე. ჩემი ორგანიზებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მოეწყო გასართობი ღონისძიებები, რომლის ფარგლებში ანიმატორები და ჯამბაზები მთელი დღის განმავლობაში ართობდნენ აღსაზრდელებს, პატარებისთვის დარიგდა ტკბილეული და სათამაშოები.

მუხიანის რაიონში, ჯერ კიდევ არის უამრავი პრობლემა გადასაჭრელი, ჩემი ძალისხმევით და აქტიური მუშაობით, სამომავლოდ მაცხოვრებელთა მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულია მიმოწერა შემდეგ სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან:

თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქალაქო სამსახური, მერიის სსიპი არქიტექტურის საქალაქო სამსახური, თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქ. ეროვნული უნივერსიტეტი, საქ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, შპს „დინამო არენა", შპს „თბილსერვის ჯგუფი", შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია", შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი", თბილისის პროკურატურა, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გლდანის რაიონული გამგეობა, კეთილმოწყობის სამსახური, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, თბილისის მერიის სსიპ-ი ქონების მართვის სააგენტო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს #14 პენიტენციალური დაწესებულება.

გავმართე შეხვედრები: საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტთან-კახი კახიაშვილთან; საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტთან-მანუჩარ კვირკველიასთან; საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტთან-

მიხეილ გაბრიჩიძესათან; საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან- ალექსანდრე მეტრეველთან; საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტთან- ზურაბ კაკაბაძესთან; საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტთან- დავით ქევხიშვილთან; ძალოსნობის სერთაშორისო ფედერაციის დელეგაციასთან - ატილა ადამფი (გენერალური დირექტორი), ენიკო ნემეფ-მორა (საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორი) და მატიას ლენკსერისთან (შეჯიბრებების მენეჯერი); წყალბურთი გუნდის „თბილისის" ხელმძღვანელთან-ლევან ბერიშვილთან; საქართველოს მფრინავი დისკის (ფრისბის) პრეზიდენტთან-ალეკო ედიშერაშვილთან; ვეტერან ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტთან -ვაჟა ჟვანიასთან;

სხვა სახის ინფორმაცია

ამა წლის 25 იანვარიდან 3 თებერვლის ჩათვლით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ალიბეგაშვილთან, საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარესთან ლევან დარახველიძესთან და საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები" თავმჯდომარესთან ნინო გოგუაძესთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში. შეხვედრები გაიმართა ვაშინგტონის სკოლამდელი შშმ პირთა საგანმანათლებლო და ზედამხედველობის ცენტრის ხელმძღვანელებთან, რომლებმაც ქართულ მხარესთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა და სპეციალისტების გადამზადების კუთხით დახმარების სურვილი გამოთქვეს.
შევხვდით გარემოს დაცვისა და ენერგორესურსების სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორ ტომი ველსს, ვაშინგტონის მუნიციპალიტეტის პარკებისა და რეკრეაციის დეპარტამენტის უფროსს კეი ანდერსონს, რომელთანაც საუბარი შეეხო მუნიციპალური სარეკრეაციო ზონების განვითარებას და მათ ფუნქციონირებას, ასევე კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოჭრა-განაშენიანებას. შევხვდით ვაშინგტონის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორს სეტ მილარ გაბრიელს და ამავე უწყების საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელს ჯონათან ბრადის, ქალაქ ატლანტის სამთავრობო ორგანიზაცია „ინვესტ ატლანტის" ხელმძღვანელს კენტ სპენსერს, ქალაქ ატლანტის ქართულ დიასპორას და საქართველოს საპატიო კონსულს ჯომ ჰოლს, ნიუ-იორკის საგანგებო მდგომარეობის მართვის ოფისის ხელმძღვანელობას, გამომცემლობა „მამულისა" და ქართული დიასპორა „თვისტომი"-ს, ასევე ქართული კულტურის ცენტრ „დანსინგ კრეინი"-ს, ამერიკაში მოღვაწე ქართული ფოლკლორის ანსამბლის წარმომადგენლებს და მეუფე საბა ინწკირველს.

18-22 აპრილს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები" თავმჯდომარესთან ნინო გოგუაძესთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი სტრასბურგში, ევრო-საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში.

06.01.2016-თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან, თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ტყემალაძესთან და საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები" თავმჯდომარე ნინო გოგუაძესთან ერთად 2015 წლის საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების ცერემონიალს დავესწარი. ღონისძიება, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით მოეწყო, ახალ სპორტის სასახლეში გაიმართა.

07.02.2016- საკრებულოს დეპუტატებთან, თბილისის მერთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას ანგარიშს დავესწარი, რომელმაც გასული წელი შეაჯამა.

17.02.2016-თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრ ირაკლი აბუსერიძესთან ერთად 2015 წლის სპორტული მომენტების ამსახველი ფოტოების გამოფენას და ფოტო-კატალოგის პრეზენტაციას დავესწარი. ღონისძიება, რომელიც ქართული სპორტის ამა თუ იმ სახეობის გაცნობა-პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, სპორტული მედიის ინიციატივითა და თბილისის მერიის დაფინანსებით ჩატარდა. ღონისძიებას საკრებულოს წევრებთან ერთად დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, მერიის წარმომადგენლები და სპორტსმენები ესწრებოდნენ.

19.02.2016- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად ფეხბურთის განვითარების პროგრამის პრეზენტაციას დავესწარი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხუთწლიანი გეგმა სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" საფეხურთო სფეროს, ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებს ასევე სპეციალურად მოწვეულ სტუმრებს გააცნო.

29.02.2016- საკრებულოს დეპუტატებ ნინო გოგუაძეს და ლია ჯახველაძესთან ერთად ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ტურნირს დავესწარი. ჩემპიონატში გლდანის რაიონში მდებარე კერძოდ საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას. გამარჯვებულებს პრიზები საკრებულოს წევრებმა, ჭადრაკში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და გლდანის რაიონის გამგებელმა ბესარიონ ქარცივაძემ გადავეცით.

03.03.2016-თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან, თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ტყემალაძესთან და საკრებულოს წევრებთან ერთად დევისის თასის გათამაშების პირველ თამაშს დავესწარით. დღეს საქართველოს სახელით ქვეყნის პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი ასპარეზობდა.

10.03.2016-თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხუთიდე მოწვევის საკრებულოს წევრ ქალბატონებს უმასპინძლეს. შეხვედრა „ქალები დედაქალაქის თვითმმართველობაში" საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილისა და საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარის გულიკო ზუმბაძის ინიციატივით გაიმართა და მას საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ტყემალაძე და 2014 წლის მოწვევის საკრებულოს ქალი წევრები ესწრებოდით.

28.03.2016- დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმდჯომარე გიორგი ალიბეგაშვილთან და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილთან ერთად ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების წახალისების კონკურსის დაჯილდოების ცერემონიალს დავესწარი. კონკურსში, რომელიც თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა 2015 წელს გამოაცხადა, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობებმა, სასკოლო კლუბებმა და საინიციატივო ჯგუფებმა მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება საგამოფენო

ცენტრში „ექსპოჯორჯია“ გაიმართა და მას მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთამ ერთად თბილისის საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები ესწრებოდნენ.

02.04.2016-დავესწარი დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და თბილისის მერიის გუნდებს შორის ამხანაგურ საფეხბურთო მატჩს, რომელიც საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიისა და მერიის ერთობლივი ინიციატივით გაიმართა. სპორტული ღონისძიება სპორტის კვირეულის ფარგლებში საფეხბურთო მოედანზე „იმედი“ მოეწყო, რომელშიც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებმა, მერიის სხვადასხვა საქალაქო სამსახურებისა და გამგეობების წარმომადგენლებმა იასპარეზეს.

05.04.2016-თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილთან ერთად პროგრამის „დაიწყე კარიერა“ ფარგლებში, წარმატებული სტუდენტების დაჯილდოების ცერემონიალს დავესწარი. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გამართულ დასკვნით ღონისძიებაზე დეპუტატებმა სტუდენტებს სერტიფიკატები გადასცეს და სიტყვით მიმართეს. თბილისის მუნიციპალიტეტის პროგრამა „დაიწყე კარიერა“, რომლის განხორციელება დედაქალაქის მერიამ 2015 წლის დეკემბრიდან დაიწყო, მერიის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებში დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა სამთვიან სტაჟირებას გულისხმობს. აღნიშნული ინიციატივა სტუდენტებს სპეციალობის შესაბამისად, პრაქტიკული უნარებისა და დარგობრივი თუ ზოგადი კომპეტენციების ამაღლების საშუალებას აძლევს. პროექტში მონაწილეობის სურვილი 300-ზე მეტმა სტუდენტმა გამოთქვა, რომელთაგან სტაჟირება 100-მდე სტუდენტმა წარმატებით დაასრულა.

დედაქალაქის მერია პროექტს „დაიწყე კარიერა“ 2016 წელსაც აგრძელებს.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, მერის მოადგილეები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და მერიის დაფუძნებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

09.04.2016-თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე გიორგი ტყემალაძესთან, თავმჯდომარის მოადგილე მალხაზ მჭედლიშვილთან და წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებთან ერთად მონაწილეობა მივიღე 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის გვირგვინით შემკობაში. ტრაგედიის ადგილზე მისულმა დეპუტატებმა 27 წლის წინანდელი მოვლენები გავიხსენეთ, დაღუპულთა ოჯახებს კიდევ ერთხელ მივუსამძიმრეთ და 9 აპრილის ტრაგიკული თარიღისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა დავათვალიერეთ.

15.04.2016-თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის ინიციატივით და დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მხარდაჭერით, საკრებულოში პროექტის „გადავწეროთ ვეფხისტყაოსანი“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნში, რომელიც შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პროექტის ფარგლებში სპეციალურად შეიქმნა, პირველი ჩანაწერი უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II გააკეთა, რის შემდეგაც ყველა დაინტერესებულ პირს, საკუთარი სახელისა და გვარის მითითებით „ვეფხისტყაოსნის“ თითო სტროფის გადაწერის შესაძლებლობა მიეცა.

16.04.2016-მე, თამარ ტალიაშვილი, ნუგზარ მალაღურაძე, რატი იონათამიშვილი და ვლადიმერ ძნელაძე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" პარასპორტსმენთა მხარდასაჭერ საქველმოქმედო საღამოს დავესწარით. ღონისძიება საქართველოს პარაოლიმპიური ფონდის, თბილისის მერიისა და ა(ა)იპ „ადვოკატთა ალიანსის" ხელშეწყობით გაიმართა.

03.05.2016-სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით, ვარსკვლავის გახსნის შემდეგ, რუსთაველის თეატრში ნონა გაფრინდაშვილის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. ნონა გაფრინდაშვილი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონია და ამავდროულად პირველი ქალი მოჭადრაკე, რომელმაც საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ვაჟთა შორის მოიპოვა. ნონა გაფრინდაშვილი საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის გამარჯვებულია. ნონა გაფრინდაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული პირველად 1962 წელს მოიპოვა, 1965, 1969, 1972 და 1975 წლებში კი კიდევ ოთხჯერ იზეიმა გამარჯვება. ნონა გაფრინდაშვილი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელია, ვეტერანთა შორის კი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი.

19.05.2016 -თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა ვლადიმერ ძნელაძემ, საკრებულოში, საფეხბურთო კლუბის „დიდუბე 2014" ფეხბურთელები და მათი მშობლები მიიღო, რომლებმაც დეპუტატს გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს.როგორც ვლადიმერ ძნელაძემ აღნიშნა, გუნდის შექმნის ძირითადი მიზანი ბავშვების საზოგადოების სრულფასოვან მოქალაქეებად, სწავლასა და სპორტზე ორიენტირებულ ახალგაზრდებად ჩამოყალიბება და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაა.დღესვე დეპუტატმა მსგავსი საფეხბურთო კლუბების დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში შექმნის ინიციატივას მხარი დაუჭირა და კონსულტაციების გაწევისთვის მზადყონდა გამოხატა. შეხვედრას მე, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი და თბილისის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ვესწრებოდით.

26.05.2016- დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა და წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებმა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 26 მაისის ღონისძიებების ფარგლებში გამართულ საზეიმო, სახალხო მსვლელობაში მივიღეთ მონაწილეობა.

01.06.2016- ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს მივულოცეთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. როგორც საკრებულოს წევრი მუხიანში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს პირადად ვეწვიე და ბავშვებს ტკბილეული და სათამაშოები გადავეცი საჩუქრად. ჩემი ინიციატივით მუხიანში მდებარე ბაგა-ბაღების აღსაზრდელთათვის გასართობი ღონისძიებები მოეწყო, რომლის ფარგლებშიც ანიმატორები და ჯამბაზები ბავშვებს მთელი დღის განმავლობაში ართობდნენ.

03.06.2016- 2017 წელს თბილისში მუხიანის ტერიტორიაზე რაგბის ახალი სავარჯიშო კომპლექსი გაიხსნება. მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩაიდო და საძირკველს საფუძველი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ტარიელ ხეჩიკაშვილმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა და მე, როგორც მუხიანის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ერთად ჩავუყარეთ.

10.06.2016-თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან, თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ტყემალაძესთან, თავმჯდომარის მოადგილე მალხაზ მჭედლიშვილსა და წარმომადგელობითი ორგანოს წევრებთან ერთად თბილისის მერის დავით ნარმანიას მიერ 13 ივნისის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების შესახებ ერთი წლის ანგარიშის წარდგენას დავესწარით.

13.06.2016-თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილსა და საკრებულოს წევრებთან ერთად თბილისში 13 ივნისის სტიქიის დროს დაღუპულთა ხსოვნას მივაგეთ პატივი.

17.06.2016- მე, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მალაღურაძე დიღომში „ოლიმპიური აუზის" 2016 წლის სეზონის გახსნას დავესწარით.

20.06.2016- მონაწილეობა მივიღე მინი წყალბურთში ზურაბ სახელაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირის „ზუკას თასის" დაჯილდოების ცერემონიაში.

04.07.2016- ჩემი ხელშეწყობით მუხიანში ტრაგიკულად გარდაცვლილი ახალგაზრდა ფეხბურთელის გიორგი ჭყოიძის სახელობის ტურნირი ,,გიოს თასი'' 2016 გაიმართა. ტურნირის ორგანიზატორთან ზესო დანელიასთან ერთად ფინალისტები დავაჯილდოვეთ და გუნდებს წარმატება ვუსურვეთ.

მხარი დავუჭირე მუხიანის ახლადრეაბილიტირებული სტადიონისთვის 11 წლის გიორგი ჭყოიძის სახელის მინიჭების ინიციატივას, ორგანიზატორებსა და მონაწილე სპორტსმენებს მადლობა გადავუხადე და ტურნირის მნიშვნელობაზე ვისაუბრე. ,,გიოს თასი" 2016- ს ფინალურ მატჩს გლდანის გამგებელი დიმიტრი ორმოცაძე, ფუტსალის ფედერაციის პრეზიდენტი ოთარ ხიზანეიშვილი, მოწვეული სტუმრები, ფეხბურთელები და ადგილობრივი მცხოვრებლები ესწრებოდნენ.

23.07.2016-თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან და საკრებულოს წევრებთან ერთად რიოს ზაფხულის XXXI ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენების გაცილების ცერემონიალს დავესწარით.

23.09.2016- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, თბილისის მერთან დავით ნარმანიასთან ერთად სოფელ გლდანში კულა გლდანელის სახელობის ჭიდაობის დარბაზის გახსნას დავესწარი.

27.09.2016- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან ერთად ფონიჭალაში განახლებული ახალგაზრდულ ცენტრის გახსნას დავესწარი. ღონისძიებას დედაქალაქის მერის მოადგილე, მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი და ფონიჭალის მცხოვრებლები ესწრებოდნენ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობიდან გამომდინარე ყველას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ.